

# ფოქსი, კემპბელი და ჰარტლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

## FOX, CAMPBELL AND HARTLEY V. UNITED KINGDOM

### საქმის ფაქტობრივი მხარე

#### A. ბატონი ფოქსისა და ქალბატონი კემპბელის შესახებ

8. პირველი და მეორე მომჩივანები – ბერნარდ ფოქსი და მეარ კემპბელი არიან ცოლ-ქმარი, მაგრამ გაყრილი. ორივე ცხოვრობს ბელფასტში, ჩრდილოეთ ირლანდიაში.

9. 1986 წლის 5 თებერვალს ისინი პოლიციამ ბელფასტში დააკავა და მიიყვანა ვუდბერნის პოლიციის ("RUC") განყოფილებაში, სადაც ჩატარდა მათი ავტომობილის ჩხრეკა. პოლიციის განყოფილებაში მიყვანიდან 25 წუთის შემდეგ, დღის 3 საათსა და 40 წუთზე, ისინი ოფიციალურად დააკავეს (arrested) ჩრდილოეთ ირლანდიის 1978 წლის კანონის (საგანგებო დებულებები)(შემდგომში "1978 წლის კანონი") მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე (იხ. პუნქტი 16 ქვემოთ). მათ აცნობეს, რომ ძინი დაკავებული არიან აღნიშნული მუხლით იმის გამო, რომ დამკავებელი ოფიცერი თვლის, რომ ისინი ტერორისტები არიან. მათ ეცნობათ, აგრეთვე, რომ დაკავების პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს 72 საათის განმავლობაში. ისინი წაიყვანეს ქესლრიგის პოლიციის განყოფილებაში, სადაც იმავე დღეს მოხდა მათი ცალ-ცალკე დაკითხვა საღამოს 8 სთ. და 15 წთ-სა და 10 საათს შორის პერიოდში.

10. დაკავების პერიოდში ფოქსი და კემპბელი დაჰკითხეს მათ მიერ დაკავების დღეს დროებითი ირლანდიის რესპუბლიკური არმიისთვის (შემდგომში "დროებითი IRA") სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებისა და კურიერული საქმიანობის შესახებ. ისინი, ასევე დაკითხულ იქნენ ამ ორგანიზაციაში მათი წევრობის შესახებ. მთავრობის განცხადების თანახმად, ოპერატიული ინფორმაცია მათ წინააღმდეგ პოლიციას უკვე ხელთ ჰქონდა მათი მანქანის გაჩერების მომენტში.

ბრალი არ წაუყენებიათ არც ერთი მომჩივანისთვის. პირველი მომჩივანი გაათავისუფლეს 1986 წლის 7 თებერვალს დილის 11 სთ-სა და 40 წთ-ზე, ხოლო, მეორე მომჩივანი – ხუთი წუთის შემდეგ. მათი პოლიციის განყოფილებაში მიყვანის დროის გამოკლებით, პირველი მომჩივანი დაკავებული იყო 44 საათის, ხოლო, მეორე 44 საათისა და 5 წუთის განმავლობაში.

11. დაკავების შემდეგ ფოქსსა და კემპბელს წარუდგინეს მათი უფლებების ამსახველი წერილობითი დოკუმენტი, რომელსაც, ჩვეულებრივ, გადასცემენ პოლიციის მიერ დაკავებულ პირებს. ისინი არ წარუდგენიათ მოსამართლის წინაშე. მათ არ მიეცათ, აგრეთვე შესაძლებლობა მიემართათ გირაოს პირობით გათავისუფლების თხოვნით. 6 თებერვალს ორივე მომჩივანმა აღძრა საქმე habeas corpus-ის შესაბამისად, მაგრამ ორივე გათავისუფლდა მოსამართლის მიერ მათი საჩივრების განხილვამდე.

12. 1979 წელს ბატონი ფოქსი მსჯავრდებული იქნა ასაფეთქებელ ნივთიერებასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის და მიესაჯა 12 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე IRA-ს წევრობისთვის, რისთვისაც შეეფარდა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. 1979 წელს ქალბატონ

კემბელს, მას შემდეგ, რაც იგი დამნაშავედ ცნეს ასაფეთქებელ ნივთიერებასთან დაკავშირებულ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, მიესაჯა პირობით 18 თვით თავისუფლების აღკვეთა.

## B. ბატონი ჰარტლის შესახებ

13. მესამე მომჩივანი, ბატონი სამუელ ჰარტლი, ცხოვრობს უოთერფუტში, ჩრდილოეთ ირლანდიაში. 1986 წლის 18 აგვისტოს იგი დააკავეს სახლში, მშობლების თანდასწრებით, დილის 7 სთ-სა და 55 წთ-ზე. დაკავებისას მას ეცნობა, რომ ის დააკავეს 1978 წლის კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და, რომ ეჭვმიტანილია ტერორისტულ საქმიანობაში. ის წიყვანეს ანტრიმის პოლიციის განყოფილებაში, სადაც მისვლისას წარუდგინეს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც გადაეცემა პოლიციის მიერ დაკავებულ პირს. პოლიციამ იგი დაკითხა დილის 11:05-დან დღის 12:15 საათების პერიოდში.

14. ბატონი ჰარტლი ეჭვმიტანილი იყო ადამიანის გატაცებაში, რომელიც მოხდა ერთი თვით ადრე ბალიმენაში, როდესაც ნილბიანმა შეიარაღებულმა პირებმა იძულებით წაიყვანეს ახალგაზრდა ქალი და კაცი. არსებობდა ვარაუდი, რომ გამტაცებლებს კავშირი ჰქონდათ ღროებით IRA-თან. კომისიის სხდომაზე მთავრობამ განაცხადა, რომ ბატონი ჰარტლის პირველი დაკითხვის ოქმის თანახმად, მას შეკითხვები დაუსვეს მცირე გეოგრაფიულ არეალში ტერორისტული საქმიანობისა და ღროებით IRA-ში მისი წევრობის შესახებ.

მის წინააღმდეგ ბრალი არ წაუყენებიათ. იგი გაათავისუფლეს 1986 წლის 19 აგვისტოს დღის 2 სთ-სა და 10 წთ-ზე, 30 საათითა და 15 წუთით დაკავებაში ყოფნის შემდეგ.

## II. შესაბამისი შიდა კანონმდებლობა და პრაქტიკა

15. გასული 20 წლის განმავლობაში ჩრდილოეთ ირლანდიის 1.5 მილიონიანი მოსახლეობა ტერორიზმის საფრთხის ქვეშ ცხოვრობს (იხ. 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე Ireland v. the United Kingdom, Series A no. 25, გვ. 9-31, §§ 11-77; ასევე, 1988 წლის გადაწყვეტილება საქმეზე Brogan and Others, Series A no. 145-B, გვ. 21, § 25). მოკლულია 2750 ადამიანი, მათ შორის 800 უშიშროების თანამშრომელი და დასახიჩრებულია ან დაშავებული კიდევ 31900 ადამიანი. ტერორის კამპანია გავრცელდა გაერთიანებული სამეფოს დანარჩენ ნაწილშიც და ევროპის მატერიკზეც.

ჩრდილოეთ ირლანდიაში არსებული მდგომარეობის მოსაგვარებლად შემოღებულ იქნა განსაკუთრებული კანონმდებლობა. ამგვარად, 1978 წლის კანონი და მისი წინამორბედი კანონები, 1973 წლის ჩრდილოეთ ირლანდიის კანონი (შემდგომში 1973 წლის კანონი), აგრეთვე მასში ცვლილებების შეტანის შესახებ 1975 წლის კანონი (შემდგომში “1975 წლის კანონი”) მიღებულ იყვნენ იმისათვის, რომ უშიშროების სამსახურებს უფრო ეფექტური ბრძოლა შესძლებოდათ ტერორიზმის საფრთხის წინააღმდეგ.

## B. 1978 წლის კანონის მე-11 მუხლი

16. 1978 წლის კანონის მე-11 მუხლი, *inter alia*, ითვალისწინებს დაკავების (arrest) უფლებას. მე-11 მუხლის შესაბამისი პუნქტების შინაარსი, რომელიც შემდგომ 1987 წელს გაუქმდა, ასეთია:

"1. ნებისმიერ კონსტებლს შეუძლია ორდერის გარეშე დააკავოს პირი, რომელიც მისი აზრით შეიძლება იყოს ტერორისტი.

...

3. ამ მუხლის თანახმად დაკავებული პირი არ შეიძლება დაკავებული იყოს 72 საათზე მეტი ხნის განმავლობაში. ამ პირზე არ გავრცელდება მაგისტრატთა სასამართლოს შესახებ ჩრდილოეთ ირლანდიის 1964 წლის კანონის 132-ე მუხლი და ბავშვებისა და ახალგაზრდების შესახებ ჩრდილოეთ ირლანდიის 1968 წლის კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტი (მოთხოვნა იმის შესახებ, რომ დაკავებული პირი მაგისტრატთა სასამართლოს წარედგინოს დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა)".

ამ მუხლის მე-2 პუნქტით დაშვებული იყო შენობაში შესვლა და მისი გაჩხრეკა, თუ არსებობდა ეჭვი, რომ იქ იმყოფება ტერორისტი ან, რომ იქ მყოფი პირი ტერორისტია.

17. 1978 წლის კანონის 31-ე მუხლი იძლევა "ტერორისტისა" და "ტერორიზმის" განსაზღვრებას. ტერორისტი არის "პირი, რომელიც მონაწილეობდა ტერორისტული აქტის ჩადენაში ან ჩადენის მცდელობაში ან მის ხელმძღვანელობაში, ორგანიზებაში ან ტერორისტული მიზნებისთვის პირების მომზადებაში". ტერორიზმი განსაზღვრულია, როგორც "ძალადობის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის, რასაც თან ახლავს ძალადობა საზოგადოების ან მისი ნაწილის დაშინების მიზნით".

1978 წლის კანონის 21-ე მუხლის და მე-2 დანართის თანახმად, ზოგიერთი ორგანიზაცია – ერთ-ერთი მათგანია IRA, მათ შორის დროებითი IRA – აკრძალულია: ასეთი ორგანიზაციის კუთვნილება ან მისი კუთვნილების ღიად აღიარება ითვლება დანაშაულად. დანაშაულია, აგრეთვე ასეთი ორგანიზაციის ხელშეწყობა ან დახმარებისკენ წაქეზება; წინასწარი შეცნობით მასში წვლილის შეტანა ან მისგან რაიმეს მიღება; პირის ხელშეწყობა ან წაქეზება, გაწვევრიანდეს ასეთ ორგანიზაციაში ან მისი სახელით შეასრულოს მისი ბრძანებები, მითითებები ან თხოვნები.

18. 1978 წლის კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული დაკავების უფლებამოსილება თავდაპირველად შედიოდა 1973 წლის კანონით შემოღებულ დროებითი დაკავების წესებში, რომლებმაც შეცვალეს ადრე არსებული ინტერნირების წესი (იხ. 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე Ireland v. the United Kingdom, Series A no. 25, გვ. 25, §§ 38-39, § 88). 1980 წელს ეს წესები, (რომლებიც შესულია 1975 და 1978 წლების კანონებში), გაუქმდა, გარდა მე-11 მუხლისა და ამ დროიდან მოყოლებული ზემოაღნიშნული უფლებამოსილება გამოიყენებოდა დამოუკიდებლად და ითვალისწინებდა დაკავებას 72 საათის განმავლობაში.

1973 წლიდან კანონმდებლობა, რომელიც აღნიშნულ უფლებამოსილებას ითვალისწინებდა, პერიოდულად უნდა გადასინჯულიყო პარლამენტის მიერ. ამიტომაც, 1978 წლის კანონის მიხედვით (33-ე მუხლი), შესაბამისი დებულებები განახლებადი გახდა. მათი გადასინჯვა ხდებოდა ყოველ ექვს თვეში 1987 წელს მათ საბოლოო გაუქმებამდე.

20. მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაკავების უფლებაზე იმსჯელა ლორდთა პალატამ საქმეზე McKee v. Chief Constable for Northern Ireland [1985] 1 All England Law Reports 1-4. ამ საქმეზე ლორდთა პალატამ განაცხადა, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული დაკავების უფლებამოსილების განხორციელებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დამკავებელი პოლიციის თანამშრომლის აზრს. დაკავებისთვის აუცილებელი იყო, რომ დამკავებელ თანამშრომელს ჰქონოდა ეჭვი,

რომ პირი, რომელსაც ის აკავებს, ტერორისტია, სხვა შემთხვევაში დაკავება უკანონოდ ჩაითვლებოდა. მას ასეთი ეჭვი შეიძლება გასჩენოდა ზემდგომი თანამდებობის პირისაგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მაგრამ, მე-11 მუხლის თანახმად, იგი ვერ დააკავებდა პირს მხოლოდ ზემდგომი თანამდებობის პირის ეჭვის საფუძველზე, თუ მას თვითონ არ ეჩნებოდა ამგვარივე ეჭვი. ლორდმა როსკილმა, რომელსაც სხვა ლორდებიც დაეთანხმნენ, განაცხადა, რომ აუცილებელი არა არის ეჭვი იყოს საფუძვლიანი, მთავარია პოლიციის თანამშრომელს მართლაც კეთილსინდისიერად სჯეროდეს, რომ პირი ეჭვს იწვევს.

21. გარდა ამისა, ორდერის გარეშე პირის დაკავება ექვემდებარება საერთო სამართლით დადგენილ წესებს, რომლებიც ასახულია ლორდთა პალატის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Christie v. Leachinsky* [1947] Appeal Cases 573 at 587 and 600. დაკავებულ პირს, ჩვეულებრივ, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს მისი დაკავების ნამდვილი მიზეზების შესახებ მისი დაკავების მომენტშივე ან, თუ არსებობს განსაკუთრებული საპატიო გარემოებები, მოგვიანებით, როგორც კი ეს მიზანშეწონილი იქნება. პირი კანონიერად დაკავებულად ითვლება 1978 წლის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, თუ მას აცნობებენ, რომ იგი დაკავებულია ამ მუხლით და ეჭვმიტანილია ტერორიზმში (იხ. *re McElduff* [1972] Northern Ireland Reports 1 and *McKee v. Chief Constable*, loc. cit.).

#### C. შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები

23. პირს, რომელიც თვლიდა, რომ მისი დაკავება მე-11 მუხლის საფუძველზე უკანონო იყო, ჰქონდა ორი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა, კერძოდ: (ა) მას შეეძლო ეს მოქმედება გაესაჩივრებინა *habeas corpus*-ის საფუძველზე, რომლის თანახმად დაკავებულ პირს შეუძლია მოითხოვოს მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლება; ან (ბ) აღედგრა სამოქალაქო საქმე და მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება უკანონოდ დაკავებისთვის (იხ. ზემოხსენებული გადაწყვეტილება საქმეზე *Brogan and Others*, Series A no. 145-B, გვ. 25, §§ 39-41). ორივე შემთხვევაში, კანონიერების განხილვა მოიცავს საპროცესო საკითხებს, როგორებიცაა: აცნობეს თუ არა დაკავებულ პირს მისი დაკავების ნამდვილი მიზეზების შესახებ (*Christie v. Leachinsky*, loc. cit.) და დაცული იყო თუ არა მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლო არ გამოიკვლევდა, იყო თუ არა ეჭვი საფუძვლიანი დაკავების პროცესში, არამედ ყურადღებას გაამახვილებდა იმაზე, ნამდვილად ჰქონდა თუ არა დამკავებელ პოლიციის თანამშრომელს ეჭვი (*McKee v. Chief Constable*, loc. cit.).

#### საქმის წარმოება კომისიაში

25. 1989 წლის 4 მაისის მოხსენებაში (მუხლი 31) კომისიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ყველა მომჩივანის მიმართ დარღვეულია მე-5 მუხლის 1, 2 და 5 პუნქტები (შვიდი ხმით ხუთის წინააღმდეგ), მაგრამ არა მე-4 პუნქტი (ცხრა ხმით სამის წინააღმდეგ). მან ერთსულოვნად დაასკვნა, რომ მე-13 მუხლთან დაკავშირებით რაიმე ცალკე საკითხი არ წარმოიშვება.

#### სამართლებრივი მხარე

##### I. ზოგადი მიდგომა

28. მომჩივანთა საჩივარი ეხება მათ დაპატიმრებასა და დაკავებას იმ სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც მიღებულია ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეებთან დაკავშირებული ტერორისტული აქტების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

გასული ოცი წლის განმავლობაში ჩრდილოეთ ირლანდიაში მძვინვარე ტერორიზმმა მძიმე შედეგები მოიტანა, განსაკუთრებით ადამიანთა სიცოცხლისა და ტანჯვის თვალსაზრისით (იხ. პუნქტი 15 ზემოთ). სასამართლომ უკვე აღიარა, რომ, როგორც ეს გათვალისწინებულია კონვენციით, აუცილებელია შენარჩუნებულ იქნეს ბალანსი საერთო მიზნებისთვის დემოკრატიული ინსტიტუტების დაცვასა და პიროვნების უფლებების დაცვას შორის (იხ. 1988 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Brogan and Others, Series A no. 145-B, გვ. 27, § 48). შესაბამისად, ამ საჩივრების განხილვისას, ისევე როგორც, Brogan and Others საქმეზე, სასამართლო მხედველობაში მიიღებს ტერორიზმის დანაშაულის განსაკუთრებულ ხასიათსა და მის წინააღმდეგ ბრძოლის თავისებურებებს, მაგრამ იმ ფარგლებში, რომლებიც მისაღებია კონვენციის შესაბამისი დებულებებიდან გამომდინარე, ამ დებულებების როგორც სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით, ისე მთელი კონვენციის დანიშნულებისა და მიზნის გათვალისწინებით.

## II. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

29. მომჩივანები აცხადებენ, რომ დარღვეულია კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც, რამდენადაც საქმეს ეხება, ადგენს, რომ:

"..."

მომჩივანები არ ასაჩივრებენ იმას, რომ მათი დაპატიმრება კანონიერი იყო ჩრდილოეთ ირლანდიის კანონმდებლობის მიხედვით, კონვენციის ამ დებულების მიზნებისთვის და, კერძოდ, ფრაზის “კანონით დადგენილი წესით” თვალსაზრისით.

30. მაგრამ ისინი აცხადებენ, რომ მათი დაკავება მოხდა დანაშაულის ჩადენაში “საფუძვლიანი” ეჭვის არარსებობის პირობებში. 1978 წლის კანონის მე-11 მუხლის მიხედვით, “ნებისმიერ კონსტებლს შეუძლია ორდერის გარეშე დააკავოს პირი, რომელიც მისი აზრით შეიძლება იყოს ტერორისტი” (იხ. პუნქტები 9, 13 და 16 ზემოთ). მომჩივანთა განცხადებით, ეს მუხლი პირდაპირ ეწინააღმდეგება მე-5 მუხლის პირველ პუნქტს იმ მხრივ, რომ იგი არ შეიცავს საფუძვლიანობის მოთხოვნას. მომჩივანები დაეთანხმნენ კომისიის მოსაზრებას, რომ ფაქტებით არ მტკიცდება ის, რომ მათი დაკავება მოხდა საფუძვლიანი ეჭვის საფუძველზე.

გარდა ამისა, მომჩივანები ამტკიცებენ, რომ მათი დაპატიმრების მიზანი გახლდათ არა “კომპეტენტური კანონიერი ხელისუფლების” წინაშე მათი წარდგენა, არამედ ინფორმაციის მოპოვება სისხლის სამართლის ბრალდების წაყენების გარეშე. მოპასუხე მთავრობამაც და კომისიამაც უარყვეს ეს განცხადება.

31. იმისათვის, რომ 1978 წლის კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით დაპატიმრება იყოს კანონიერი, როგორც ლორდთა პალატამ განმარტა საქმეზე McKee v. Chief Constable for Northern Ireland, ეჭვი უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ კეთილსინდისიერი (იხ. პუნქტი 20 ზემოთ). 1984 წელს პარლამენტისადმი მიმართულ მოხსენებაში პატივცემულმა სერ ჯორჯ ბეიკერმა აღნიშნა, რომ მე-11 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულება-შეუსრულებლობის შეფასება “სუბიექტური” იყო.

მეორე მხრივ, თუ გაჩნდებოდა მოთხოვნა “საფუძვლიანი ეჭვის” ქონის შესახებ, მაშინ ამის შეფასებაც იქნებოდა “ობიექტური”, ხოლო, “ეჭვის საფუძვლიანობის დადგენა დამოკიდებული იქნებოდა სასამართლოზე”.

მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტში ლაპარაკია “საფუძვლიან ეჭვზე” და არა იმაზე, ნამდვილად და კეთილსინდისიერად ჰქონდა თუ არა დამპატიმრებელ პირს ეჭვი. თუმცა, სასამართლომ სადავო კანონმდებლობა უნდა განიხილოს არა **in abstracto**, არამედ ის, თუ როგორ იქნა იგი გამოყენებული კონკრეტულ საქმეში.

**32.** ეჭვის “საფუძვლიანობა”, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია პირის დაპატიმრება, წარმოადგენს მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტში ასახული, თვითნებური დაკავებისა ან დაპატიმრებისაგან პიროვნების დაცვის ძირითად გარანტიას. სასამართლო ეთანხმება კომისიასა და მთავრობას, რომ “საფუძვლიანი ეჭვის” არსებობა გულისხმობს გარკვეული ფაქტებისა ან ინფორმაციის ქონას, რომლის საფუძველზეც ობიექტური ადამიანი ჩათვლიდა, რომ პირს შესაძლოა ჩადენილი აქვს დანაშაული, მაგრამ ის, თუ რა შეიძლება “ჩაითვალოს” საფუძვლიანად, დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ გარემოებაზე.

ამ თვალსაზრისით, ტერორისტული დანაშაული განსაკუთრებულ კატეგორიას განეკუთვნება. ადამიანთა სიცოცხლის მოსპობისა ან მათთვის ტანჯვის მიყენების თანხმლები რისკის გამო, პოლიცია იძულებულია განსაკუთრებული რეაგირება მოახდინოს ყოველ კონკრეტულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, მათ შორის საიდუმლო წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციაზე. სწორედ ამიტომ, პოლიციას შეიძლება ხშირად დასჭირდეს საგარეუდო ტერორისტის დაპატიმრება სანდო ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც, ინფორმაციის მომწოდებლის საფრთხის ქვეშ დაყენების გარეშე, ვერ ეცნობება ეჭვიმტანილსა ან სასამართლოს ბრალდების მხარდასაჭერად.

როგორც მთავრობამ აღნიშნა, ჩრდილოეთ ირლანდიაში ტერორისტული კატეგორიის დანაშაულთა გამოძიებისა და სამართალწარმოებისთვის დამახასიათებელი სირთულეების გათვალისწინებით, დაპატიმრების გამამართლებელი ეჭვის “საფუძვლიანობა” ყოველთვის ვერ შეფასდება იმავე კრიტერიუმებით, რომლებიც ჩვეულებრივი დანაშაულის შეფასებისას გამოიყენება. მიუხედავად ამისა, ტერორისტული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნები მაინც ვერ გაამართლებს “საფუძვლიანობის” ცნების ისეთ ფართო ინტერპრეტაციას, რომელიც მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარანტიებს შელახავს (იხ., **mutatis mutandis**, ზემოხსენებული გადაწყვეტილება საქმეზე **Brogan and Others, Series A no. 145-B**, გვ. 32-33, § 59).

**33.** კომისიის წევრთა უმრავლესობა, რომელთაც მომჩივანებიც დაეთანხმნენ, იზიარებდა იმ მოსაზრებას, რომ “მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე ინფორმაცია კომისიისთვის, რომლის საფუძველზეც კომისია დაასკვნდა, რომ მომჩივანთა საწინააღმდეგო ეჭვი მათი დაკავების მომენტისთვის, კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტის გაგებით, “საფუძვლიანი” იყო ან, რომ მათი დაკავება ეფუძნებოდა რაიმე უფრო მეტს, ვიდრე “კეთილსინდისიერად არსებულ ეჭვს”, როგორც ამას მოითხოვდა ჩრდილოეთ ირლანდიის კანონმდებლობა” (იხ. კომისიის მოხსენების 61-ე პუნქტი).

მთავრობამ განაცხადა, რომ მას არ შეეძლო იმ ფრიად საიდუმლო მასალების გამჟღავნება, რომლებსაც ეფუძნებოდა სამი მომჩივანის წინააღმდეგ არსებული ეჭვი, რამეთუ ამ ინფორმაციის გამჟღავნება საფრთხის ქვეშ დააყენებდა როგორც მის მომწოდებელს, აგრეთვე სხვების სიცოცხლესა და უსაფრთხოებას. მისი განცხადების დასადასტურებლად, რომ ეჭვი მართლაც საფუძვლიანი იყო,

მთავრობამ აღნიშნა, რომ პირველი ორი მომჩივანი ადრე ნასამართლევი იყო მძიმე ტერორისტული აქტების ჩადენისთვის და დაკავშირებული იყვნენ დროებით **IRA**-თან (იხ. პუნქტი 12 ზემოთ), აგრეთვე ის, რომ დაკავების პერიოდში სამივე მომჩივანი დაიკითხა კონკრეტული ტერორისტული აქტების თაობაზე, რომელშიც ისინი ეჭვმიტანილი იყვნენ (იხ. პუნქტები 10 და 14 ზემოთ). მთავრობის აზრით, ეს ფაქტები საკმარისი იყო დამკავებელი პოლიციის თანამშრომლისთვის, რომ კეთილსინდისიერად (*bona fide*) ანუ ნამდვილად ჰქონოდა ეჭვი. ამასთან, მთავრობამ განაცხადა, რომ კეთილსინდისიერ ანუ ნამდვილ ეჭვსა და საფუძვლიან ეჭვს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობდა. გარდა ამისა, მთავრობამ აღნიშნა, თავად მომჩივანები არ ასაჩივრებდნენ იმას, რომ ისინი დააპატიმრეს და დააკავეს ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით (იხ. კომისიის მოხსენების 55-ე პუნქტი).

გარდა ამისა, მთავრობამ განაცხადა, რომ, მართალია, მას არ შეეძლო ინფორმაციის ან მისი მომწოდებლის გამჟღავნება, რამაც გამოიწვია მომჩივანთა დაკავება, მაგრამ პირველი და მეორე მომჩივანის შემთხვევაში ნამდვილად არსებობდა საფუძველი ვარაუდისა, რომ მათი დაკავების მომენტისთვის მომჩივანები ჩაბმული იყვნენ დროებითი **IRA**-თვის სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებასა და კურიერულ საქმიანობაში, ხოლო, მესამე მომჩივანს რაც შეეხება, პოლიციას ხელთ ჰქონდა მასალები, რომლებიც ამტკიცებდა ადამიანთა მოტაცებასთან მის კავშირს, რის შესახებაც იგი დაიკითხა.

**34.** რა თქმა უნდა, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის **(c)** ქვეპუნქტი ისე არ უნდა იყოს გამოყენებული, რომ ხელშემკერედი სახელმწიფოების პოლიციის ორგანოებს შეეძინას არაპროპორციული სირთულეები ორგანიზებული ტერორისტული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური ზომების გამოყენების გზაზე (იხ., *mutatis mutandis*, 1978 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე **Klass and Others, Series A no. 28**, გვ. 27 და **30-31, §§ 58 და 68**). ამიტომ, ხელშემკერედ სახელმწიფოებს არ მოეთხოვებათ, რომ ტერორისტულ აქტში ეჭვმიტანილი პირის დაკავებისთვის ეჭვის საფუძვლიანობა დაამტკიცონ შესაბამისი ინფორმაციის კონფიდენციალური წყაროებისა ან მათი ვინაობის გამჟღავნებით.

მიუხედავად ამისა, სასამართლოს უნდა მიეცეს საშუალება გამოარკვიოს, ხომ არ დარღვეულა მე-5 მუხლის პირველი პუნქტის **(c)** ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარანტია. ამისათვის მოპასუხე მთავრობამ უნდა წარმოადგინოს, როგორც მინიმუმ, ფაქტების ნაწილი ან ინფორმაცია, რომელიც სასამართლოს საშუალებას მისცემს დაადგინოს, არსებობდა თუ არა საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ დაკავებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც, ამ კონკრეტულ საქმეზე, შიდა კანონმდებლობა არ აწესებს საფუძვლიანი ეჭვის ქონის მოთხოვნას, არამედ ითვალისწინებს უფრო დაბალ ბარიერს – დამკავებელი პირის მიერ ეჭვის ნამდვილად ქონას.

**35.** სასამართლო ეთანხმება მთავრობას, რომ თითოეული მომჩივანის დაკავება განპირობებული იყო კეთილსინდისიერი ეჭვით, რომ ისინი არიან ტერორისტები და, რომ თითოეული მათგანი, მათ შორის ბატონი ჰარტლი, დაიკითხა კონკრეტული ტერორისტული აქტების შესახებ.

ის, რომ ბატონი ფოქსი და ქალბატონი კემპბელი ადრე ნასამართლევი იყვნენ **IRA**-თან დაკავშირებული ტერორისტული დანაშაულის ჩადენაში (იხ. პუნქტი 12 ზემოთ), მართალია, ამყარებს მათ მიერ ტერორისტული კატეგორიის დანაშაულის ჩადენის ეჭვს, მაგრამ ვერ ჩაითვლება, როგორც 1986 წელს, სასამართლობიდან 7 წლის შემდეგ, მათი დაკავებისთვის საკმარის საფუძვლად.

ის ფაქტი, რომ ყველა მომჩივანი დაკავების პერიოდში დაიკითხა კონკრეტული ტერორისტული აქტების შესახებ, მხოლოდ და მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ დამკავებელ თანამშრომლებს მართლაც ჰქონდათ

ეჭვი მათ მიერ ტერორისტულ აქტში მონაწილეობის შესახებ, მაგრამ იგი საკმარისი არ არის ობიექტური მესამე პირის დასარწმუნებლად, რომ შესაძლოა მათ ჩაედინათ დანაშაული.

ზემოაღნიშნული ფაქტორები თავისთავად საკმარისი არ არის ისეთი დასკვნის გამოსატანად, რომ მართლაც არსებობდა “საფუძვლიანი ეჭვი”. მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე დამატებითი მასალა, რომელზეც ეფუძნებოდა მომჩივანთა საწინააღმდეგო ეჭვი. ამიტომ, მთავრობის მიერ მიცემული ახსნა-განმარტება არ აკმაყოფილებს მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (C) ქვეპუნქტით დადგენილ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია პირის დაკავებისას ეჭვის საფუძვლიანობის დასასაბუთებლად.

36. აქედან გამომდინარე, სასამართლო აცხადებს, რომ დარღვეულია მე-5 მუხლის პირველი პუნქტი. ამიტომ, სასამართლო საჭიროდ არ თვლის, გამოიკვლიოს მომჩივანთა დაკავების მიზანი (იხ. პუნქტი 30 ზემოთ).

### III. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საგარეულო დარღვევა

37. მომჩივანები აცხადებენ, რომ დარღვეული მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად:

"..."

კომისიამ ამ განცხადებას მხარი დაუჭირა, თუმცა იგი უარყოფილ იქნა მთავრობის მიერ.

38. მომჩივანთა მტკიცებით, მე-5 მუხლის პირველი პუნქტი მოიხსენიებს საფუძვლებს, რომლებსაც ეყრდნობა დაკავება და ამიტომაც, დაკავებულ პირებს უნდა ჰქონდეთ მათი გაცნობის საშუალება. მომჩივანთა მტკიცებით, ტერორიზმში ეჭვმიტანილობა თავისთავად არ წარმოადგენს დანაშაულს, რომელიც გაამართლებდა დაკავების ღონისძიებას მე-11 მუხლის მიხედვით. შესაბამისად, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საწინააღმდეგოდ, დაკავების დროს მათ არ მიეწოდათ ადეკვატური და გასაგები ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა არსებითი საფუძვლებით მოხდა მათი დაკავება. კერძოდ, მათი განცხადებით, ხელისუფლება არ ასრულებს პირისთვის “ინფორმაციის მიწოდების” მოვალეობას, თუ, როგორც მათ შემთხვევაში, ამ პირს თვითონ უწევს პოლიციაში დაკითხვის შედეგად იმის გამორკვევა, თუ რა მიზეზით დააკავეს.

39. მთავრობამ განაცხადა, რომ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიზანია, დაკავებულ პირს შეეძლოს იმის განსჯა, თუ რამდენად კანონიერად დააკავეს იგი, რათა, მისი შეხედულებისამებრ, შეძლოს დაკავების კანონიერების გასაჩივრება. მთავრობამ აღნიშნა, რომ მიცემული ინფორმაცია არ არის სავალდებულო იყოს დეტალური და, რომ საკმარისია, დააბატიმრებულ პირს დაუყოვნებლივ ეცნობოს მისი დაკავების იურიდიული საფუძვლის შესახებ და “იმ ძირითადი ფაქტების შესახებ, რომლებიც (შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით) საკმარისია მისი დაკავების კანონიერების დასადგენად”. ამ პრინციპების გათვალისწინებით, მთავრობამ განაცხადა, რომ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები სრულიად დაცული იყო.

40. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი შეიცავს ელემენტარულ გარანტიას იმისა, რომ დაკავებულმა პირმა უნდა იცოდეს, თუ რატომ ზღუდავენ მის თავისუფლებას. ეს დებულება განუყოფელი ნაწილია მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაცვითი სქემისა. მე-2 პუნქტის თანახმად, ნებისმიერ დაკავებულ პირს უნდა ეცნობოს მარტივ, არაპროფესიონალურ, მისთვის გასაგებ ენაზე, მისი დაკავების ძირითადი



ფაქტობრივი და იურიდიული საფუძვლები, რათა მან, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეძლოს სასამართლოსთვის მიმართვა მისი დაკავების კანონიერების დადგენის მიზნით, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად (იხ. 1990 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება **van der Leer-ის საქმეზე, Series A no. 170, გვ. 13, § 28**). მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს დაუყოვნებლივ (ფრანგულ ტექსტში: **"dans le plus court délai"**), აუცილებელი არ არის დამკავებელმა პირმა დაკავების მომენტში შესაბამის პირს გააცნოს ყველა დეტალი. ის, თუ რამდენად საკმარისი იყო მიწოდებული ინფორმაცია და მოხდა თუ არა მისი დაუყოვნებლივ მიწოდება, უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არსებული გარემოებების საფუძველზე.

**41.** დაკავებისას, დამკავებელმა თანამშრომელმა ფოქსს, კემპბელსა და ჰარტლის მარტივად განუცხადა, რომ ისინი დააკავეს 1978 წლის კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვის საფუძველზე (იხ. პუნქტები 9 და 13 ზემოთ). ეს უბრალო მინიშნება, როგორც დაკავების იურიდიული საფუძველი, არ არის საკმარისი მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისთვის, რაც მთავრობამაც დაადასტურა.

თუმცა, დაკავების შემდეგ მომჩივანები დაჰკითხა პოლიციამ მათ მიერ კონკრეტულ დანაშაულებრივ საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ და აკრძალული ორგანიზაციებისადმი მათი კუთვნილების შესახებ (იხ. პუნქტები 9, 10 და 14 ზემოთ). არ არსებობს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ეს დაკითხვა ისე ჩატარდა, რომ მომჩივანებს არ შეეძლოთ მათი დაკავების მიზეზების გაგება. ასე, რომ ის მიზეზები, თუ რატომ იყვნენ ისინი ტერორისტობაში ეჭვმიტანილი, მათ მიეწოდათ მათი დაკითხვის მიმდინარეობისას.

**42.** ფოქსი და კემპბელი დააკავეს 1986 წლის 5 თებერვალს, დღის სამ საათსა და ორმოც წუთზე ვუდბორნის სადგურთან, ხოლო, შემდგომ დაჰკითხეს ცალ-ცალკე 8:15 და 10.00 საათებს შორის პერიოდში ქესლრიგის პოლიციის განყოფილებაში (იხ. პუნქტი 9 ზემოთ). ბატონი ჰარტლი დააკავეს თავის სახლში დილის 7 საათსა და 55 წუთზე, 1986 წლის 18 აგვისტოს და მიიყვანეს ანტრიმის პოლიციის განყოფილებაში, სადაც იგი დაიკითხა 11.05 და 12.15 საათებს შორის პერიოდში (იხ. პუნქტი 13 ზემოთ). ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რამდენიმე საათის შუალედები არ შეიძლება ჩაითვალოს მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი სიტყვა “დაუყოვნებლივს” მოთხოვნის დარღვევად.

**43.** აქედან გამომდინარე, არც ერთ მომჩივანთან მიმართებაში არ არის დარღვეული მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.

#### **IV. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საგარეულო დარღვევა**

**44.** მომჩივანებმა განაცხადეს, რომ, რადგან კონვენცია არ არის ინკორპორირებული გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობაში, მათ არ შეეძლოთ დაკავების კანონიერება გაესაჩივრებინათ ბრიტანეთის სასამართლოებში კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტზე მითითებით, რომლის თანახმად:

"..."

კომისიის წევრთა უმრავლესობა მივიდა დასკვნამდე, რომ ასეთ დარღვევას ადგილი არ ჰქონია. მათი აზრით, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიის ამოქმედების მიზანი დაიკარგა მაშინ, როდესაც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დაკავებული პირები გაათავისუფლეს მანამ, სანამ მოხდებოდა დაკავების კანონიერების დადგენა.

მთავრობის განცხადებით, habeas corpus-ით აღძრული საქმის შემთხვევაში, სასამართლოებს შეუძლიათ იმსჯელონ როგორც დაკავების პროცესში საპროცესო წესების დაცვის შესახებ, ასევე იმის შესახებაც, ნამდვილად არსებობდა თუ არა ეჭვი, რომ პირი ტერორისტია. საბოლოო ჯამში, მთავრობა დაეთანხმა კომისიის მოსაზრებას.

საპასუხოდ, მომჩივანებმა გაიზიარეს ბატონი დანელიუსის განსხვავებული აზრი, რომელიც დაერთო კომისიის მოხსენებას. მისი აზრით, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლება გამოიყენება დაკავების მოკლე პერიოდთან მიმართებაშიც. მან ასევე გამოთქვა მოსაზრება, რომ არც habeas corpus-ზე მითითება და არც მცდარი დაპატიმრებისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ უზრუნველყოფს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი გარანტიის რეალურ აღსრულებას ისე, როგორც ეს პუნქტი განმარტებულია ამ სასამართლოს გადაწყვეტილებაში *Brogan and Others* საქმეზე (loc. cit., გვ. 34-35, § 65), რადგან 1978 წლის კანონის მე-11(1) მუხლი არ მოითხოვდა საფუძვლიანი ეჭვის არსებობას როგორც დაპატიმრების კანონიერებისთვის აუცილებელ ელემენტს.

45. ბატონი ფოქსი და ბატონი კემპბელი დაკავებული იყვნენ დაახლოებით 44 საათის განმავლობაში, ბატონი ჰარტლი კი – დაახლოებით 30 საათის განმავლობაში (იხ. პუნქტები 10 და 14 ზემოთ). ბატონ ჰარტლის მის დაპატიმრებასთან ან დაკავებასთან დაკავშირებით საქმე არ აღუძვრია (იხ. პუნქტი 14 ზემოთ). მეორე მხრივ, დაპატიმრების მეორე დღეს ბატონმა ფოქსმაც და ქალბატონმა კემპბელმაც აღძრეს წარმოება habeas corpus-ის საფუძველზე, მაგრამ ისინი გაათავისუფლეს მოსამართლის მიერ მათი საჩივრების განხილვამდე (იხ. პუნქტი 11 ზემოთ).

სამივე მომჩივანი სასწრაფოდ გათავისუფლდა მანამდე, სანამ განხორციელდებოდა სასამართლო ზედამხედველობა მათ დაკავებაზე. ამ სასამართლოს ფუნქციებში არ შედის აბსტრაქტული მსჯელობა იმაზე, იქნებოდა თუ არა შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, რომლებისთვისაც მომჩივანებს შეეძლოთ მიემართათ წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისობაში მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან.

აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ არ არის აუცილებელი მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან დაკავშირებული მომჩივანთა მოთხოვნის განხილვა.

## V. მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

46. მომჩივანებმა ასევე განაცხადეს, რომ, მათი აზრით, დარღვეული მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმად:

"..."

სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნების დაკავება ეწინააღმდეგება მე-5 მუხლის პირველ პუნქტს (იხ. პუნქტი 36 ზემოთ). წინამდებარე დარღვევა, სასამართლოს მიერ ამ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე ან გამოტანის შემდეგ, ჩრდილოეთ ირლანდიის სასამართლოების მიერ არ ჩაითვლებოდა საკმარის საფუძვლად იმისათვის, რომ მომჩივანებს მოეთხოვათ ზიანის ანაზღაურება (იხ. ზემოხსენებული გადაწყვეტილება საქმეზე **Brogan and Others, Series A no. 145-B**, გვ. 35, § 67).

აქედან გამომდინარე, სამივე მომჩივანის მიმართ დარღვეულია მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი.

ამ გარემოებების საფუძველზე, სასამართლო:

1. ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ აცხადებს, რომ დარღვეულია მე-5 მუხლის პირველი პუნქტი;
2. ერთსულოვნად აცხადებს, რომ არ არის დარღვეული მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი;
3. ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ აცხადებს, რომ დარღვეულია მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი;
4. ერთსულოვნად აცხადებს, რომ აუცილებელი არ არის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან და მე-13 მუხლთან დაკავშირებული მოთხოვნების განხილვა;
5. ერთსულოვნად აცხადებს, რომ 50-ე მუხლის გამოყენების საკითხი ჯერჯერობით არ არის მზად გადაწყვეტილებისთვის.